პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 143

2019წ. "30" 07

ქ. თბილისი

შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ კანონის" 39-ე მუხლის 1^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245409838) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 359- ით.
2. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 30 აგვისტო.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №11 სხდომის ოქმის მერვე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	28	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა
2	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	56	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა
3	საბაჟო საქმე (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში 1032	93	123	ქართული	48	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა
4	აღმზრდელი (1)	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული	56	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა
5	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე/საფეხური	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090352	120	150	ქართული	56	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა
6	საექთნო განათლება (1)	მეხუთე დონე/საფეხური	ა)ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0913	180	210	ქართული	72	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა

			ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი) 090554					

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთნი	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	22	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა
2	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	120	ქართული	21	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N3-ა